შრომამ გაიმარჯვა, შრომა ზეიმობს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 299 (11910) | სამშაბათი, 27 დეკემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

მაღალი შეფასება, დიდი მოვალეობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ რესპუბლიკის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ მუშაკებსა და ყველა მშრომელს ჩაის ფოთლის, ხორცისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გაძლიერებაში მიღწეულ წარმატებებს და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მისალმებიდან.





სასახელო წარმატებები მოიპოვეს წელს ქართველმა მეცხოველეებმა, რომლებმაც სოფლის მეურნეობის სხვა მუშაკებთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მაღალი შეფასება დაიმსახურეს. მათ შორის არიან ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის საუკეთესო ნარგიზა ლეთანძე და სამგორის რაიონის სოფელ თელეთის მწყემსების ბრიგადის ბრიგადირი ივანე ვახტანგაძე.

სურათებზე: (მარცხნივ) ნ. ლეთანძე და ი. ვახტანგაძე.

ფოტოები ი. დავითაშვილისა და ვ. ყუშიტაშვილისა.

შვიდწლედის მესამე წელი

კიდევ რამდენიმე დღე, და კარს შემოაღებს 1961 წელი. მას ხალხმა უკვე შეარქვა სახელი — შვიდწლედის მესამე წელი. ამ საპატიო სახელთან ერთად 1961 წელს ხელთ აქვს სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი. ისინი დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა მოსკოვში, კრემლში.

ამ გეგმით, ამ ბიუჯეტით ჩვენი სამშობლო კიდევ ერთ მძლავრ ნაბიჯს გადადგამს წინ კომუნიზმის მშენებლობის ნათელ გზაზე, უდიდეს წვლილს შეიტანს მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის დიდ საქმეში.

1960 წელი აღსავსეა საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებებით სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა ფრონტზე.

უფრო დიდი ამოცანებით დატვირთული შემოდის 1961 წელი.

გათვალისწინებულია: სამრეწველო პროდუქციის წარმოების საერთო დონე გაიზარდოს 8,8 პროცენტით. ეს ნიშნავს, რომ შვიდწლედის პირველ სამ წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოების საშუალო წლიურმა მატებამ გაცვლად 8,3 პროცენტისა მიაღწიოს 10 პროცენტს. ეს „პატარა“ განსხვავება იძლევა 20 მილიარდი მანეთის დამატებით პროდუქციას ახალი ფულით.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გეგმა, რომელიც შემუშავებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, 1961 წელს განსაკუთრებით აამაღლებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, მის შესყიდვას სახელმწიფოს მიერ, დიდად გაზრდის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებებს სოფლის მეურნეობაში.

განსაკუთრებით დიდი ამოცანებია დასახული კაპიტალური მშენებლობის დარგში. მომავალი წლის ბიუჯეტში ამ დარგში მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 29 მილიარდ მანეთზე მეტი ახალი ფულით.

კიდევ ერთი ციფრი. სახელმწიფო ხარჯზე, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების დანაზოგით 1961 წელს საბჭოთა კავშირში უნდა აშენდეს 96 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო ერთ წლის განმავლობაში კარგ ბინებში შესახლდება ათი მილიონი ადამიანი.

ახალი წელი, ახალი დიდი პერსპექტივები — ასეთი განწყობილებით ხვდება 1961 წელს ჩვენი ხალხი. მან შვიდწლედის მესამე წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი მიიღო როგორც მშობლიური, სისხლხორცეული საქმე. საბჭოთა ადამიანს მხოლოდ ერთი მიზანი, მხოლოდ ერთი ფიქრი და აზრი აქვს — მშვიდობიანი შრომით შეამყოს და გაამდიდროს სამშობლო ქვეყანა, იშრომოს ისე, რომ ცხოვრება ადამიანისათვის მუდამ მხიარული, ბედნიერი და ნათელი იყოს. მშვიდობა და ბედნიერება სურს ჩვენს ქვეყანას დედამიწის ყველა ხალხისათვის. და, თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, ეს თვითონ ხალხისაგან იყო ნაკარნახევი, ხალხის ნება და სურვილი იყო.

29 დეკემბერს თბილისში მუშაობას დაიწყებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულმა კანონმა უკვე გვაუწყა, რომ 1961 წლისათვის საქართველოს სსრ ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ნაწილში ითვალისწინებს 719.622 ათას მანეთს. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე 1960 წელს იყო გათვალისწინებული.

საბჭოთა საქართველო, რომელიც ორიოდე თვის შემდეგ იდღესასწაულებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს, მიმდინარე სამეურნეო წელს სასახელო მაჩვენებლებით ამთავრებს.

განსაკუთრებით აღმაფრთოვანებელი, საამაყო და სასიხარულო იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომართვა იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვაში, რომ სახელმწიფოს მიეყიდა 158,8 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი... რომ რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, ხილისა და დაფნის ფოთლის მიყიდვის გეგმები.

დიდი წარმატება, დიდი ვალდებულებები — ასე გაიგეს საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება და ამთავითვე, ძველი და ახალი წლების მიჯნიდანვე უყრიან საფუძველს 1961 წელში მორიგ გამარჯვებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე.

მოდის ახალი წელი, შვიდწლედის მესამე წელი — რაკეტების, თანამგზავრების, კომუნიზმის დიადი მშენებლობის ნათელი წელი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

1960 წლის 24 დეკემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის პირველი ორი წლის დავალებათა შესრულების მსვლელობის საკითხი.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველმა მდივნებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებმა, სსრ კავშირის მთელი რიგი სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეებმა, მინისტრებმა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა.

მინისტრთა საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ საყოველთაო სახალხო მოძრაობამ შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესის მაღალმა ტემპმა სახალხო მეურნეობაში მეცნიერების უახლეს მიღწევათა გამოყენების საფუძველზე, ახლად აღმოჩენილი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებამ წარმოებაში, სპეციალიზაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებათა განხორციელებამ, შრომის ნაყოფიერების შემდგომმა ზრდამ უზრუნველყვეს საკონტროლო ციფრებით დაწესებულ დავალებათა წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით.

1959-1960 წლებში მრეწველობის მთლიანი პროდუქცია თითქმის 23 პროცენტით გადიდდა საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 17 პროცენტის ნაცვლად და დავალების გადამეტებით წარმოებულია დაახლოებით 120 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

უაღრესად წარმატებით სრულდება სახალხო მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების დავალებანი, როგორიც არის შავი მეტალურგია, ნავთობის მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, საშენ მასალათა მრეწველობა. გადაჭარბებით შესრულდა ბევრი სახეობის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დავალებანი და ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის დავალებანი.

შვიდწლედის განვლილ ორ წელიწადში განხორციელდა დიდი კაპიტალური დაბანდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ამუშავდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ორი ათასზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად კვლავ უმჯობესდებოდა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა.

იმ წინადადებებისა და შენიშვნების შესაბამისად, რომლებიც სხდომაზე გააკეთეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, მთავრობის წევრებმა და სხდომის სხვა მონაწილეებმა, სხდომამ საჭიროდ ცნო, რომ შვიდწლედის განვლილი ორი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულების შედეგად მიღებული ახალი რესურსები მოხმარდეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებასა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ამასთან დაკავშირებით სხდომამ საჭიროდ ცნო კორექტივები შეიტანოს შვიდწლიან გეგმაში იმ მხრივ, რომ გადიდდეს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების დავალებანი, და დაევალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებსა და საოლქო (სავხარეო) აღმასკომებს საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გასწორენ მუშაობა, რათა გამოავლინონ დამატებითი შინაგანა რეზერვები იმ საფუძველზე, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს მოქმედი საწარმოო სიმძლავრეების გამოყენება, განხორციელდეს ფულადი და მატერიალური რესურსების უმკაცრესი ეკონომია მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში.

ამავე სხდომაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სისტემის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ახალი რეზერვების განუწყვეტელი დაგეგმვა, გამოვლინება და ამუშავება, სხდომამ საჭიროდ ცნო, რომ მიმდინარე გეგმების შემუშავებასთან ერთად შემუშავებულ იქნას სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები შვიდწლედის დამლევის შემდგომი წლისათვის, რათა გვქონდეს განუწყვეტლივ მოქმედი ხუთწლიანი გეგმა.

დიდი ბრიტანეთის ელჩი ფ. რობერტსი ვიზიტად ეწვია ნ. ს. ხრუშჩოვს

26 დეკემბერს დიდი ბრიტანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში სერი ფ. რობერტსი ვიზიტად ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. ნ. ს. ხრუშჩოვსა და ფ. რობერტსს შორის გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

ახალი ამოცანები, ახალი ვალდებულებანი

სასიხარულო ღღეებს განიცდის ჩვენი სამშობლო. მშობლიურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა სასახელო შრომას.

გუშინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს კპ ოთხი წყაროს რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ა. ბექაურს და სთხოვა ესაუბრა იმაზე, თუ რაიონის მშრომელები როგორ შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის მისალმებას, როგორია მათი მომავალი მუშაობის პერსპექტივები. ამხ. **ა. ბექაურმა** განაცხადა:

— სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის მაღალმა შეფასებამ აღფრთოვანება გამოიწვია რაიონის მშრომელებში. განსაკუთრებით ზეიმობენ მეცხოველეები, რომლებმაც წელს სასახელოდ გაანადღეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება და სახელმწიფოს გეგმის გადამტებები დიდძალი პროდუქტები მიჰყიდეს, ამასთან გაამრავლეს პირუტყვის სულადობა. რაიონის მშრომელები სიხარულით გაეცნენ მისალმებას და კისრულობენ შვიდწლედის მესამე წელს აწარმოონ 3.500 ტონა ხორცი, რაც შეადგენს 66 ცენტნერს 100 ჰექტარ სანნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში და სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვის საერთო მიღწევაში. ჩვენი რაიონის მშრომელთა წვლილიც არის. ამიტომ კანონიერად ამაყობენ ისინი და მადლობას გადმოთქვამენ პარტიისა და მთავრობის მხრივ ზრუნვისათვის. მისალმების პასუხად რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ყველა სამეურნეო ღონიერებით ამაღლებულ ზეიმებზე, ბრძოლა ეწარმოთ ნაყოფიერ, ხარისხიანი პროდუქციის მოსავლიანობის გადიდებისთვის, ეფექტიანად ბრძოლა ეწარმოთ ბოლოამდე, ბოლოსტვენ, ბოლოსტვენ, ბოლოსტვენ!

ბ. ბიბლიოთეკა

მახარაძელთა პიროგა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებამ საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი მახარაძის რაიონის მშრომელებში დიდი კმაყოფილების გრძნობა გამოიწვია. ამ საკითხისადმი მიძღვნილ მიტინგებზე სიტყვით გამოსულ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები მადლობას უხდიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას მათი შრომის ასეთი მაღალი შეფასებისათვის.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. თოხაძემ** განაცხადა:

— სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში და სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვის საერთო მიღწევაში ჩვენი რაიონის მშრომელთა წვლილიც არის. ამიტომ კანონიერად ამაყობენ ისინი და მადლობას გადმოთქვამენ პარტიისა და მთავრობის მხრივ ზრუნვისათვის. მისალმების პასუხად რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ყველა სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში და სახელმწიფოსათვის „მწვანე ოქრო“, 3.800 ტონა ციტრუსის ნაყოფი, თვითეულ ძროხაზე მიიღონ 1.800 კილოგრამი რძე, ჩაისა და ციტრუსების მოსავლიანობის გადიდებისთან ერთად გადაწყვეტილი გვაქვს კიდევ უფრო გავზარდოთ ამ კულტურების ფართობი. შვიდწლედის მესამე წელს სანაბევროდ, ხოლო 1962 წლისთვის მთლიანად შევასრულებთ შვიდწლედზე დასახულ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების გაშენების გეგმას.

ჯილდო ღირსეულთ

შვიდწლედის მეორე წელს კარგად იმუშავეს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა. მათ მიმდინარე წლის პირველ და მესამე კვარტალებში ორჯერ დაიკავეს პირველი ადგილი სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

იბრძვიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის, ქართველმა კოოპერატორებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს. — ვადამდე, 20 დეკემბერს, როგორც ეს იყო გათვალისწინებული მომმეზრეთიანების კოოპერატორებთან დადებული სოციალისტური ხელშეკრულებით, შეასრულეს საქონელბრუნვის წლიური გეგმა (გარდა საკომისიო ვაჭრობისა). გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოსახლეობას მიეყიდა 360 მილიონი მანეთით მეტი საქონელი, ხოლო წლის დასასრულამდე გასაღდება კიდევ 150 მილიონი მანეთის საქონელი.

ცეკავშირმა ვადამდე შეასრულა სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების გეგმები. 20 დეკემბრისათვის მატყლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 109,5 პროცენტით, კვერცხისა — 106,8 პროცენტით, ტყავის ნედლეულისა — 120,6 პროცენტით, ბეწვეულისა — 174,1 პროცენტით, თესლეულის ნაყოფისა — 100,5 პროცენტით, კოკონების ნაყოფისა — 200,5 პროცენტით, დაფნის ფოთლისა — 142,4 პროცენტით, ველური ხილისა — 121,8 პროცენტით და ა. შ.

საქონელბრუნვის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას მხურვალედ მიულოცა სსრ კავშირის „ცენტროსოიუზის“ გაგზავნილ დეპეშაში, რომელიც მიღებულია „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ა. პ. კლიმოვისაგან, ნათქვამია, რომ ქართველი კოოპერატორები კვლავაც წარმატებით გადაჭრიან დაკისრებულ ამოცანებს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და ყველა მშრომელისადმი გამოგზავნილი მისალმებით აღფრთოვანებული რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისა და საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. (საქმენი).

კონგოს რესპუბლიკის ხალხისადმი დახმარება და მხარდაჭერა

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე სტენლივილიდან კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ა. გიზენგასაგან მიღებულია დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, თუ რა საფრთხე მოელის კონგოს რესპუბლიკის აღმოსავლეთ პროვინციას მობუტუს ბანდების მხრივ, რომლებმაც სამოქალაქო ომი გააჩაღეს.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ კონგოს ცენტრალური მთავრობა გადავიდა აღმოსავლეთ პროვინციაში და კონგოს რესპუბლიკის დროებით დედაქალაქად გამოაცხადა ქ. სტენლივილი.

ქვემოთ ქვეყნდება ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო დეპეშის ტექსტი.

კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს გატონ ანტუან გიზენგას

ქ. სტენლივილი.

თქვენი 14 დეკემბრის დეპეშა მივიღეთ. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ თქვენი მთავრობის შეშფოთებას იმ მდგომარეობის გამო, რომელიც კონგოში შექმნა კოლონიზატორებისა და მათი დაქირავებული აგენტების ტერორის შედეგად, რომლებმაც დააპატიმრეს პრემიერ-მინისტრი პ. ლუმუმბა, მთავრობის ბევრი წევრი და პარლამენტის დეპუტატები. იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესია კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, რაც გრძელდება, ყველა საბჭოთა ადამიანის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.

პირობას ვაძლევთ, რომ საბჭოთა მთავრობა კონგოს რესპუბლიკის სხვა მეგობარ სახელმწიფოებთან ერთად უწევდა და კვლავაც გაუწევს მთელ შესაძლო დახმარებასა და მხარდაჭერას კონგოელ ხალხს და მის კანონიერ მთავრობას სამართლიან ბრძოლაში კოლონიზატორთა წინააღმდეგ.

მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ კონგოელი ხალხის მამაცური ბრძოლა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სრული წარმატებით დაგვირგვინდება.

ღრმა პატივისცემით,

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი, კრემლი.

იბრაჰიმ აბუდის მომავალი ვიზიტი სსრ კავშირში

სუდანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა იბრაჰიმ აბუდმა მიიღო მიწვევა სახელმწიფო ვიზიტად ესტუმროს საბჭოთა კავშირს. მიწვევა გაუგზავნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

ვიზიტის თარიღი დადგენილ იქნება მოგვიანებით ორი მთავრობის ურთიერთშეთანხმებით.

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია გაიხსნება 29 დეკემბერს დილის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 20 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახი № 10, ტელეფონი 3-08-54 და 3-83-00.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 29 დეკემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უდიდესი გამარჯვება

უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის ისტორიულ დოკუმენტებს — თათბირის განცხადებასა და მიმართვას მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი. ჩვენს ქვეყანაში დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს პარტიული აქტივის კრებები, მიძღვნილი თათბირის შედეგებისადმი. კომუნისტები მხურვალედ იწონებენ თათბირის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან მუშაობას და მის მიერ მიღებულ დოკუმენტებს.

ქალაქ მოსკოვის პარტიული აქტივის კრებაზე მოხსენება თათბირის შედეგების შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. რ. კოზლოვმა. მან დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა განცხადებებს და მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვის შინაარსს და აღნიშნა ამ დოკუმენტების თვალსაჩინო მნიშვნელობა ბოლშევიზმ-ლენინური თეორიის შემოქმედებითს განვითარებაში, თანამედროვე მსოფლიო განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანი შეთანხმებული პოზიციების შემუშავებაში. განცხადებაში მოცემულია ღრმა მეცნიერული დასასაბუთება თანამედროვე ეპოქის, რომლის განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა იქცევა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად. თათბირის დოკუმენტებში განზოგადებულია მსოფლიო სოციალისტური სისტემის უდიდესი გამოცდილება და თვალსაჩინო გამარჯვებები, ნაჩვენებია მისი განვითარების კანონზომიერებანი. მომძლე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა ნათელი პასუხი გასცეს თანამედროვეობის უაღრესად მწვავე საკითხებზე — ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის განტკიცების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარების შესახებ.

პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა, გამოხატეს რა დედაქალაქის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის ფიქრები და ნება, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და მოიწონეს თათბირის დოკუმენტები, შეაფასეს ისინი როგორც კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უდიდესი გამარჯვება.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ა. ბ. არისტოვმა, დ. ს. პოლიანსკიმ, ნ. მ. შვერნიკმა, პ. ნ. პოსპელოვმა, კ. ტ. მაზუროვმა.

პარტიული აქტივის კრებები გაიმართა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სხვა დიდ ქალაქებში.

ნოვოსიბირსკში საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივისტების წინაშე მოხსენება მოსკოვის თათბირის შედეგების შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ა. ნ. პოსპელოვმა. მან აღნიშნა განსაკუთრებით დიდი როლი, რომელიც თათბირის წარმატებით უზრუნველყოფაში შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, მისმა ბრწყინვალე გამოსვლებმა თათბირზე. თავისი მოხსენების დიდი ნაწილი ამხ. ა. ბ. არისტოვმა მიუძღვნა მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცებისა და შეკავშირების, მშვიდობისათვის ბრძოლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებს.

იაროსლავლის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ნ. გ. იგნატოვმა. მან საფუძვლიანად გააშუქა თათბირის მუშაობის მსვლელობა, ილაპარაკა ძმურ ატმოსფეროზე, რომელშიც განხილულ კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, მშვიდობისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის ხალხთა ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

კამაში გამოვიდა სალტის ქარხნის ნოვატორი მუშა ამხ. ა. ი. ახმეროვი. მან თქვა:

— თათბირის დოკუმენტებში გამოხატულია მთელი პროგრესული კაცობრიობის აზრები, ფიქრები და მისწრაფებანი.

ტაშკენტში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ა. სუსლოვის მოხსენება. მის მოხსენებაში დიდი ადგილი დაიკავა საკითხებმა, რომლებიც დაკავშირებულია ბრძოლასთან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სამარცხვინო კოლონიური სისტემის ლიკვიდაციისათვის, ყველა ხალხის თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უფლებათა დაცვასთან.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. შ. რ. რაშიდოვმა.

გორკში საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის წინაშე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. რ. კოზლოვმა.

— როცა ერთხელ კიდევ ვაკვირდებით კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებისა და მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვის შესანიშნავ სიტყვებს, — თქვა კამაში ქარხანა „წითელი სორმოვოს“ ჩქაროსანმა ხარატმა ა. მ. გოდიაევმა, — ჩვენ, სორმოველები, ვამბობთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა განმტკიცდეს და აყვავდეს ჩვენი დიდი სამშობლო.

ირკუტსკის ყველა რაიონის ათასზე მეტმა კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა საოლქო პარტიული აქტივის კრებაში. მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ა. ბ. არისტოვმა. მოხსენებამ აზრთა გაცხოველებული გაზიარება გამოიწვია.

— ეს იყო ყველაზე წარმომადგენლობითი თათბირი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მთელ ისტორიაში, — თქვა სკკპ ირკუტსკის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ბ. შეშუკოვმა.

კალინინში ოლქის პარტიული აქტივის კრებაზე მოხსენება თათბირის შედეგების შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ე. ა. ფურცევამ. მოსკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის ამხ. პ. ნ. პოსპელოვის მოხსენება.

პარტიული აქტივის კრებებზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილებში კომუნისტები მხურვალედ იწონებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებას და მიმართვას მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი, აგრეთვე ამ თათბირზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობას. (საქმენი).

ჩვენი ბრძოლა, ჩვენი წინსვლა

ორგანიზებულად ჩავატაროთ წლიური საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის შესახებ. ამის შედეგად წლითწლობით იზრდება კოლმეურნეობებში მოსავლიანობა, მატულობს მათი ფულადი შემოსავალი, სულ უფრო უმჯობესდება კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების პირობები.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ შვიდწლედის მეორე წელს, 1958 წელთან შედარებით ჩაის ხარისხოვანი ფოთლის პროდუქცია გაიზარდა 26 პროცენტით, ხილისა — 32,7 პროცენტით, ყურძნისა — 18 პროცენტით, მატლისა —78 პროცენტით, რძისა — 155 პროცენტით, კვერცხისა — 107 პროცენტით. ამავე პერიოდში რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი მნიშვნელოვნად გადიდდა.

მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მოპოვებული სახელოვანი მაჩვენებლები იმ დაუღალავი შრომის შედეგია, რომელიც გასწიეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა დიდი შვიდწლედის მეორე წლის მიზანდასახულობათა შესასრულებლად. მათ შრომას მაღალი შეფასება მისცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მიიღოცეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს სახელოვანი მიღწევები.

საქართველო ძვირფასი მრავალწლიანი და ერთწლიანი ტექნიკური კულტურების ქვეყანაა. ჩვენი კოლმეურნეობები უხვი და მრავალფეროვანი საქონლიანობით ხასიათდებიან, რის მეოხებითაც მათში ფულადი შემოსავალი საკმაოდ დიდია. 1959 წელს, მაგალითად, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულებამ სახელმწიფო შესყიდვის ფასით 3.109 მილიონი მანეთი შეადგინა, ხოლო პროდუქციის რეალიზაციიდან ფულადი შემოსავალი 2.297 მილიონ მანეთს, ანუ 74 პროცენტს უდრიდა.

ახლა, როცა შვიდწლედის მეორე სამეურნეო წელი მთავრდება, როცა ჩვენი სოციალისტური სოფლის მშრომელები გულმოდგინედ ემზადებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახებადგომად. თვითეული კოლმეურნეობის გადადებული ამოცანა უნდა იყოს ერთხელ კიდევ კრიტიკულად განხილოს თავისი მიმდინარე წლის საქმიანობა, შეაჯამოს სახოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ცხოვრებაში გატარების მდგომარეობა, შეამოწმოს, თუ როგორ არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია და საფინანსო მეურნეობა. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ იმ კოლმეურნეობებში, სადაც საფინანსო მეურნეობა მოწესრიგებულია, გეგმიანად უძღვებიან, მომპირნეობით ხარჯავენ ფულსა და საკოლმეურნეო დოვლათს, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დონე და, მაშასადამე, პირადი მატერიალური დაინტერესებაც მაღალია. „სახალხო მეურნეობის ყოველი მსხვილი დარგი უნდა ავაგოთ პირად დაინტერესებაზე" — გვასწავლიდა დიდი ლენინი; ხოლო ჯერ კიდევ საკოლმეურნეო ცხოვრების გარიჟრაჟზე, სახავდა რა კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების გზებს, ი. ბ. სტალინი აფრთხილებდა კოლმეურნეებს, რომ ახლა „თქვენი მხრით საჭიროა მხოლოდ ერთი რამ —იშრომოთ პატიოსნად, გაანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი შრომის მიხედვით, გაუფრთხილდეთ საკოლმეურნეო დოვლათს, გაუფრთხილდეთ ტრაქტორებსა და მანქანებს..."

რესპუბლიკის კოლმეურნეობათა უმეტესობაში დიდ ყურადღებას უთმობენ საკოლმეურნეო წარმოების ამ მნიშვნელოვან საკითხებს, მაგრამ ბევრგან ჯერ კიდევ იდგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დამახინჯების ფაქტებს. ცოტა როდია შემთხვევები, როცა არღვევენ კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ დამტკიცებულ საწარმო-საფინანსო გეგმებს, უყაირათოდ და არადანშნულებისამებრ ხარჯავენ არტელის სახსრებს.

ამ კოლმეურნეობებში კი, სადაც ჯეროვანი ყურადღებით ეკიდებიან შრომის ორგანიზაციისა და საფინანსო მეურნეობის გაუმჯობესებას, თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ. ამის სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ სამტრედიის რაიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარედ მუშაობს თამარ თავაძე. შარშან აქ საშუალოდ ერთმა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ გამოიმუშავა 207 შრომადღე. 155 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან მხოლოდ ორს არ გამოუმუშავებია შრომადღეების საკალდებულო მინიმუმი. კოლმეურნეობაში ერთ კაცდღეზე პროდუქციის წარმოებამ შეადგინა 43 მანეთი და 17 კაპიკი, როცა საშუალოდ რაიონის კოლმეურნეობებში ერთ კაცდღეზე პროდუქციის წარმოება 22 მანეთს და 12 კაპიკს აღწევდა.

სამწუხაროდ, სულ სხვა მდგომარეობაა ამავე რაიონის სოფელ ტოლეთის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა დ. ლორთქიფანიძე. აქ მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია შრომის დისციპლინა. 316 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან შარშან 102 კაცს ანუ 32 პროცენტს არ ჰქონდა გამომუშავებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

შრომისუნარიანი კოლმეურნის საშუალო გამომუშავება 128 შრომადღეს არ აღემატებოდა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებამ საშუალოდ ერთ კაცდღეზე 26 მანეთი და 4 კაპიკი შეადგინა, გადიდების ნაცვლად ყოველწლიურად მცირდება ნათესი ფართობი, პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა.

ამ ორი კოლმეურნეობის მაგალითი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა საგალალო შედეგებამდე მივდივართ, როცა ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და საფინანსო მეურნეობის განმტკიცების საკითხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა, რომ „...სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის ზრდის, კოლმეურნეთა კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების კვალობაზე მიზანშეწონილია სისტემატურად გადაისინჯოს და დაწესდეს გამომუშავების უფრო პროგრესული ნორმები და შრომის ანაზღაურების შეფასებანი კოლმეურნეობებში, იმის მსგავსად, როგორც ეს ხდება სამრეწველო საწარმოებში. ეს უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას, დაგროვების გადიდებას საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოებისათვის და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის".

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა გამგეობებმა, საკოლმეურნეო წარმოების მუშაკებმა აქ წამოყენებული საკითხები არასოდეს არ უნდა დაივიწყონ და ისინი საფუძვლად უნდა დაუდონ თავიანთ შემოქმედებითს მუშაობას.

კოლმეურნეობებში 1960 წლიური ანგარიშების შედგენისა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე დამტკიცების ვადები შემჭიდროებულია, ამ ღონისძიებათა გატარება რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში 1961 წლის 1 თებერვლამდე უნდა დამთავრდეს. ამასთან დაკავშირებით წელს კიდევ მეტი კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაეწიოს კოლმეურნეობებს ამ საქმეში.

ამ მიზნით, რომ წლიური ანგარიში კოლმეურნეობის საქმიანობის ნამდვილ სარკედ იქცეს, საჭიროა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბუხგალტრები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სრული პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდონ ამ საქმეს, დაკვირვებით ჩაატარონ წინასწარი მუშაობა წლიური ანგარიშების ზუსტად შედგენის უზრუნველსაყოფად.

პირველ რიგში უნდა შეჯამდეს ბრიგადების, რგოლებისა და ფერმების მუშაობა. საჭიროა განვახორციელოთ მატერიალური წახალისების ღონისძიებები, რის შედეგადაც უნდა მოხდეს კოლმეურნეებისათვის კუთვნილი შრომის დამატებითი ანაზღაურება ნატურითა და ფულით, შრომადღეების დამატებითი დარიცხვისა და ჩამოწერის წესის მიხედვით.

საკოლმეურნეო წარმოების ყველა უბანზე აუცილებლად უნდა დამთავრდეს ინვენტარიზაცია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდების ინვენტარიზაციას მომავალ წელს მათ გადაფასებასთან დაკავშირებით.

ინვენტარიზაციის შედეგები გამგეობათა გაფართოებულ სხდომებზე განხილვის შემდეგ აისახება საბუხგალტრო აღრიცხვაში და წლიურ ანგარიშში. ყველა კოლმეურნეობაში დგება მოსავლისა და ფულადი შემოსავლის განაწილების გეგმა, რომელსაც განიხილავს გამგეობა და აშტკიცებს საერთო კრება.

ასეთი გეგმების სწორად შედგენას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, გასულ წელს ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებმა შრომადღეებზე განაწილებაში შეიტანეს ის თანხები, რაც კაპიტალურ დაბანდებებში დაიხარჯა, შესაბამისად არ გაადიდეს გადარიცხვა განუყოფელ ფონდში და ამის გამო გაჭიანურდა შრომის მიხედვით ანგარიშის გასწორება კოლმეურნეებთან. ამის შედეგად გასული წლის შრომადღეებზე კოლმეურნეთა ერთ ნაწილს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის მიღებული ჰქონდა 21 მილიონი მანეთი.

ანგარიშსწორების დამთავრებას ხელი შეუშალა დებიტორულმა დავალიანებამ, რომელიც ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებზე, აგრეთვე კოლმეურნეებზე ირიცხებოდა და რომლის ჯამი I ოქტომბრისათვის 147,5 მილიონ მანეთს აღწევდა. მარტო კოლმეურნეებზე ირიცხებოდა 56 მილიონი მანეთი.

ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებში, სადაც 1 ოქტომბრისათვის დებიტორული დავალიანება 10,5 მილიონ მანეთს შეადგენდა, ხოლო კოლმეურნეთა ერთ წელზე გაუცემელი იყო 5,2 მილიონი მანეთი.

ეს ნაკლოვანებები გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ, კოლმეურნეობებმა არ უნდა დაუშვან გამომუშავებული შრომადღეების გაუთვალისწინებლად კოლმეურნეებზე ავანსების გაცემა და მიიღწიონ იმას, რომ გასული წლის შრომადღეებზე ახალი წლის 1 მარტამდე დამთავრდეს ყოველგვარი ანგარიშსწორება კოლმეურნეებთან.

წლიური ანგარიშების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულების სწორად გაანგარიშებას. ამ მხრივ გასულ წელს მარნეულის, ლანჩხუთისა და ამბროლაურის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში შეცდომები დაუშვეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულება თითქმის ყველა სახეობის პროდუქტებზე, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტებზე, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გაცილებით მაღალია, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში. ამიტომ წლიური ანგარიშების კოლმეურნეთა საერთო კრებებზე განხილვისას თვითეულ კოლმეურნეობაში დასახულ უნდა იქნას კონკრეტული ღონისძიებები თვითღირებულების საგრძნობლად შემცირებისათვის.

წლიური საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ფართოდ კოლმეურნეობაში ყურადღება უნდა გამახვილდეს გარდამავალი საბრუნავი ფულადი ფონდების შექმნაზე, ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლებულ პირთა შტატებისა და ზოგჯერ მათი გადიდებული ანაზღაურების შემცირებაზე, სპეციალისტთა შრომის გარანტირებული ანაზღაურების განხორციელებაზე, კვარტალური ანგარიშგების დანერგვაზე, ბრიგადების გაძსხვილებასა და მსხვილი ბრიგადების სათავეში სპეციალისტების დანიშვნაზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების მკვეთრად გაუმჯობესებაზე.

მომდინარე წლის ანგარიშგება-არჩევნები კოლმეურნეობებში უნდა ჩატარდეს 1961 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა სისტემატურად უნდა განიხილონ ცალკეულ კოლმეურნეობათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა, გამოავლინონ ნაკლოვანებები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები სასახელო შრომითი გაბრაჯებებით ეგებებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავს. ეჭვი არ არის, რომ ისინი კოლმეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კრებებს საქმიშოდ ჩაატარებენ, დასახავენ კონკრეტულ ამოცანებს, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს შვიდწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებას, კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, სოფლის მშრომელთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის შემდგომ მკვეთრ ამაღლებას.

შ. ჭანუყვაძე,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

აქტეგი და ანაშაული

შუალამე გადასული იყო, სოფელს ეძინა. მხოლოდ ზუგდიდის რაიონის ჭითაწყაროს კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" კანტორის შენობიდან გამოკრთოდა სინათლე. არ ეძინა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პარმენ ბელქანიას, ფართო ოთახში ბოლთას სცემდა. სახეზე მწუხარების ჩრდილი გადაფენოდა. დროდადრო შეჩერდებოდა, ხელებს გაშლიდა და თავის თავს ჰბაძაღლა ელაპარაკებოდა.

— არა, როდემდის უნდა ვკვებო რაიონის ხელმძღვანელები დაპირებებით? კოლმეურნეობის შემოსავალი დაბალია, მეცხოველეობის პროდუქტიულობა დაეცა, პირუტყვი შიმშილით მეხოცება, ახლა კიდევ ეს წვეულდობის სახელმწიფო გეგმა, ცუდად არის ჩემი საქმე. უცებ შეჩერდა, ეტყობოდა რაღაც აზრმა გაუელვა. — არის! აბა, ახლა ჩქარა, პარმენ, დატრიალდი. მთავარი ბუხჰალტერი სპირიდონ კუკავა დავითანხმო, დანარჩენი მე ვიცი, ამის თქმა, და კოლმეურნეობის თავმჯდომარე უკვე გარეთ იყო, სწრაფად ჩაირბინა კანტორის მონაღრეული კიბე და ჩქარი ნაბიჯით სპირიდონ კუკავას ბინისაკენ გასწია.

— სპირიდონ, სპირიდონ!.. საწოლი ოთახის ფანჯარას მიადგა თავმჯდომარე. — ვინ არის ამ შუაღამისას? — იკითხა სპირიდონმა შიგნიდან და ფანჯარაზე მიმდგარი თავმჯდომარე რომ იცნო, სწრაფად კარნი გამოვიდა.

— მე ვარ, პარმენა. სასწრაფო საქმე მაქვს.

სოფელს ეძინა.

ცხოლოდ ორი კაცის ჩურჩული აღწევდა მუდრობას, შეთქმულებივით რომ იდგნენ ღამის წყვდიადში.

ვინ იცის, რაზე შეთანხმდნენ, რა გეგმები შეიმუშავეს. ასე ჭურდული მოლაპარაკება სიკეთის ნიშანი არ იყო, და მართლაც ყალბისმქნელთა მანქანა სწრაფად ამუშავდა. მათი სული და გული კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე ი. ქანთარია იყო. იგი დიდი რაოდენობით — ათეულათას მანეთობით იღებდა კოლმეურნეობის ბუხჰალტერიდან ნაღდ ფულს ვითომდა პირუტყვისათვის თივის შესაძენად. აფორმებდა ფიქციურ დოკუმენტებს, რაზედაც კოლმეურნეებს ვ. დარასელიას, ვ. მოსიას, ა. მოსიას, ი. ჩალიჩავას, რ. ნაჭყარიას, ი. ქანთარიას, ლ. დალაქიშვილსა და სხვებს აწერინებდა ხელს, თითქოს მათგან იყო შეძენილი თივა, ტონა 1000 მანეთად. თივის შესყიდვის ყალბ აქტებზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ბელქანია დაუფიქრებლად ადებდა რეზოლუციას ფულის გაცემის შესახებ, რასაც ბუხჰალტერი ს. კუკავა უსიტყვოდ ასრულებდა. თივის შესყიდვის ფიქციურ აქტებზე კოლმეურნეობის თავმჯდომარის გარდა ხელს აწერდნენ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ა. ნაჭყეპია, მოონგარიშე ა. ქვარია, ბრიგადირი ვ. დარასელია, ხოლო არარსებული თივის ძიღებაზე კი ხელს აწერდა კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწყემსი პ. ყორშია.

წვეულობის გეგმის შეუსრულებლობა რომ დაემალათ, თანაც ზემდგომი ორგანოები შეცდომაში შეეყვანათ, ისინი ასეთ მაქინაციებს მიმართავდნენ, თითქოს კოლმეურნეობა ასრულებდა წვეულობის სახელმწიფო გეგმას და ხელოვნურად ზრდიდნენ რძის რაოდენობას. ეს რომ არ გამომჟღავნებულიყო, აფორმებდნენ რძის დადამშავების ფიქციურ აქტებს, სადაც აჩვენებდნენ, რომ 10 კილოგრამი რძიდან მიღებულ იქნა 1 კილოგრამი ყველი. ამის შემდეგ კვლავ ფორმდებოდა აქტები, რომ ყველი თითქოს გაიყიდა საკოლმეურნეო ბაზარზე — კილოგრამი 20 მანეთად. აღებულ თანხებს ატარებდნენ კოლმეურნეობის შემოსავალში, ხოლო სალაროში ფულის დანაკლისი რომ არ გამოსულიყო, ისევ ფიქციურ აქტებს ადგენდნენ, ვითომდა პირუტყვისათვის იძენდნენ თივას —ტონას 1.000 მანეთად. თივას კი გასაყიდში დახარჯულად წერდნენ, პირუტყვმა შეჭამა.

ამ გზით კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა მარტო წელს ზედმეტად აწერეს 23.200 ლიტრი რძე და მიღებულად გაატარეს 2.320 კილოგრამი ყველი.

თუ როგორ „იძენდნენ" თივას, ეს ჩანს 1960 წლის 31 ივლისს შემდგარი აქტიდან; ამ დღეს კოლმეურნეობას ბაზარზე გაუყიდია 1.320 კილოგრამამდე ყველი, რაშიაც 26.400 მანეთი „აუღიათ". აღნიშნული თანხა გატარებულია კოლმეურნეობის საერთო შემოსავალში და ამავე დღეს ყველში აღებული „ფულით" „უყიდიათ" 27 ტონა თივა, რომელიც ამავე დღეს „შეუჭამია" პირუტყვს.

საინტერესოა, რომ ყველს „გაყიდვის" აქტზე ხელს აწერენ ფერმის გამგე ი. ქანთარია, მოონგარიშე ა. ქვარია, საწყობის გამგე ვ. იხვრია, ხოლო კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლ. ჯიქია იმდენად „დაინტერესებული" ყოფილა კოლმეურნეობის დოვლათის ბედით, რომ ყველის გაყიდვის ფიქციურ აქტზე თავისი ხელით დაუწერია: „დაეკუნწარი ყველის გაყიდვა".

საკოლმეურნეო სოფლის ხორცმეტების პ. ბელქანიასა და მისი თანამესაფრეთა საქმის გამოძიებას ამყარებდა საქართველოს სსრ პროკურატურა აწარმოებს. მიმდინარეობს გამოძიება მოთვისებული თანხების დასაზუსტებლად, დამნაშავეები მალე წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე და დამსახურებულ სასჯელსაც მიიღებენ.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ფაქტებს, როცა ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები თვალისაჯვეყის მიმართავენ, მოტყუების გზით ცდილობენ დაფარონ თავიანთი უსუსურობა კოლმეურნეობის მართვისა და გაძღოლის საქმეში ან პირადი ინტერესებისათვის იყენებენ თანამდებობას. ყოველივე ეს კოლმეურნეობებში იწვევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დარღვევას და ზოგჯერ სისხლის სამართლის დანაშაულსაც.

ასეთივე მეთოდით „ამზადებდა" თივას ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა. 1960 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე ამ კოლმეურნეობამ კერძო პირებისაგან შეიძინა 109.000 მანეთის თივა, თივის შეძენის საქმეში კარგი „ინიციატივა" გამოიჩინა ამავე კოლმეურნეობის ფერმის გამგემ ა. პარკაიამ, რომელმაც კერძო პირებისაგან შეიძინა 71.000 მანეთის თივა. ამის შემდეგ კოლმეურნეობამ უფრო ფართოდ გააგრძელა თივის შეძენის ეს „ორიგინალური" მეთოდი და ქ. ფოთის მცხოვრებ ერთ-ერთ მოქალაქეს დაუდო ხელშეკრულება 45.500 მანეთის თივის შეძენაზე, ასევე ქ. ცხაკაიის მცხოვრებ ვინმე ვ. ჩაჩავას ხელშეკრულების თანაბმად კოლმეურნეობისათვის უნდა ჩაებარებინა 14.000 მანეთის თივა. მან ფული მიიღო, მაგრამ თივის ჩაბარება კოლმეურნეობისათვის რატომღაც „დაავიწყა".

[illegible] როცა ეკის კოლმეურნეობა ხელშეკრულებას [illegible] [illegible] [illegible]

მშვიდობა, თანაარსებობა!

პეკინი, 24 დეკემბერი. (საკდესი). „ენენმინ ენიბაო“ სათაურით „დაიხურა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია. მიღებულია კანონი მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესახებ. სესიამ მოისმინა გრომიკოს მოხსენება და ერთხმად მიიღო დადგენილება — მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა“ აქვეუნებს ცნობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დახურვის შესახებ.

გაზეთი აგრეთვე აცნობს მკითხველებს, თუ როგორ მიმდინარეობდა კამათი სესიაზე 21 და 22 დეკემბერს.

პეკინის სხვა გაზეთები აგრეთვე აქვეყნებენ ცნობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის დახურვის შესახებ.

კაირო, 24 დეკემბერი. (საკდესი). კაიროს ყველა დილის გაზეთი აქვეყნებს დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოხსენების დაწვრილებით შინაარსს „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და საგარეო პოლიტიკა“.

გაზეთი „ალ-აჰრამი“ ბეჭდავს ცნობას მოხსენების შესახებ მთელ გვერდზე გადაქმეული დიდი სათაურით: „საბჭოთა კავშირი საუბებით მზად არის დაიცვას თავისი თავი და მთელი სოციალისტური საბყარო! უცხოეთის საბჭოური ბაზები აფრიკაში უნდა გაუქმდეს და ატომური იარაღის გამოცდა შეწყდეს! გრომიკო გმობს დე გოლის გეგმებს ალჟირის მიმართ!“

გაზეთ „ალ-გუმჰურიას“ სათაურში წერია: „საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს აფრიკის ნეიტრალიტეტს! მასობრივი ხოცვა-ყლეტა ალჟირში საფრანგეთის ტერიტორიად ვერ გადააქცევს ალჟირს!

პარიზი, 24 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის პრესა დღეს დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დახურვის შესახებ. ამავე დროს მთელი რიგი ბურჟუაზიული და

„ფატიმა“ დამასკოს ეკრანებზე

დამასკო, 26 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დამასკოს ერთ-ერთ საუკეთესო კინოთეატრში „ალ-აჰრამში“ დაიწყო საბჭოთა მხატვრული კინოფილმის „ფატიმას“ ჩვენება. ფილმი თარგმნილია არაბულ ენაზე. ფილმის დემონსტრაცია დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

შეიქმნა აფრიკის სამი სახელმწიფოს კავშირი

ლონდონი, 25 დეკემბერი. (საკდესი). კონაკრიში, სადაც მიმდინარეობდა გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტის სეკუტურეს, მალის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოდიბო კეიტისა და განის პრეზიდენტის კვამე ნკრუმას ორი დღის თათბირი, გამოქვეყნდა აფრიკის სამი სახელმწიფოს მეთაურთა ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც გამოცხადებულია, რომ შეიქმნა დასავლეთ აფრიკის ამ სამი ქვეყნის კავშირი.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კონაკრიდან იუწყება, კომუნიკეში ნათქვამია, რომ განამ, გვინეამ და მალიმ გადაწყვიტეს აგრეთვე ხელი შეუწყონ ერთობლივი ეკონომიური და საგალუტო პოლიტიკის განხორციელებას.

ერთობლივ კომუნიკეში აგრეთვე აღნიშნულია, რომ პრეზიდენტები შეთანხმდნენ ერთობლივი დიპლომატიური წარმომადგენლობის შესახებ და გადაწყვიტეს მოაწყონ რეგულარული შეხვედრა ყოველ სამ თვეში.

ამგოხეგის კვალი ეთიოპიაში

ადის-აბება, 24 დეკემბერი. (საკდესი). პრესაში დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ ეთიოპიის ამბების დაწყებიდან მეამბოხეთა ზარალი შეადგენს 475 კაცს მოკლულთა სახით და 325 დაკარგულია უკვალოდ. იმპერატორის ერთგულმა არმიამ ტყვედ ჩაიგდო 4.200 კაცი, აქედან 400 გუშინ გადათავისუფლეს. 700 მეამბოხე იმპერატორის გვარდიის ყოფილი შტაბის განლაგებაში, 3.100— იმპერატორის არმიის შტაბის განლაგებაში.

ითქვიფინან აგრეთვე, რომ ამჟამად შექმნილია კომისია ამბების გამოსაკვლევად. უფრო გვიან შეიქმნება სამხედრო ტრიბუნალი.

ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე შემოღებულია საკომენდანტო საათი.

ამერიკა ემგზავნება კუბაში შესაჭრელად

ნიუ-იორკი, 25 დეკემბერი. (საკდესი). როგორც მაიამის (ფლორიდის შტატი) გაზეთი „ჰერალდი“ იუწყება, ამერიკელთა ჯგუფი და კუბელი ემიგრანტები, რომელნიც მაიამისა და ნიუ-იორკში იმყოფებიან, ემზადებიან კუბაში შეჭრისათვის, ამ ამერიკელებს, წერს გაზეთი, ახლა წვრთნიან. გაზეთის კორესპონდენტი იყო ყაზარმებში და ესაუბრა ზოგიერთ ამერიკელს, რომლებმაც განუცხადეს მას, რომ მათი მეთაურია კუბის ყოფილი სენატორი ორლანდო მასფერერი.

ბატისტას დიქტატურის დროს მასფერერმა იმით „ისახელა თავი“, რომ მეთაურობდა დამსჯელ რაზმებს, რომელებმაც დაღუპეს ათასობით ყოველად უდანაშაულო კუბელი, რომელებსაც მხოლოდ ის დასდეს ბრალად, რომ თანაუგრძნობდნენ ფიდელ კასტროს აჯანყებულთა არმიას. კუბის მთავრობამ გამოაცხადა იგი ბატისტას რეჟიმის ერთ-ერთ მთავარ სამხედრო დამნაშავედ.

ამერიკის ახალი პროვოკაცია

პეკინი, 24 დეკემბერი, (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხუთი სამხედრო ხომალდი შეიჭრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში გუანდუნის პროვინციის სანაპიროსთან.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს დავალებული აქვს ამერიკის ახალ პროვოკაციებთან დაკავშირებით სერიოზული გაფრთხილება მისცეს შეერთებულ შტატებს.

საერთაშორისო ცხოვრება

ჯეკეულები, ცნობები, მიმოხილვა

უმაღლესი საბჭოს სესია უცხოეთის პრესის ყურადღების ცენტრშია

ჩომგე იმასახურებს ხალხის ზიზღსა და რისხვას

ალჟირი იბრძვის, ბობოქრობს!

ერთიანეულ ... ეროვნ...

მღელვარება ალჟირში

პარიზი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ალჟირში მართვის ორგანიზაციის საკითხზე საფრანგეთში რეფერენდუმისათვის (რომელიც მომავალი წლის 8 იანვარს გაიმართება) მზადების კამპანიას ახასიათებს მემარცხენე ძალების, შეკავშირება, ოპოზიციე მოითხოვენ კოლონიური ომის შეწყვეტას ალჟირში. ალჟირელი ხალხის სრულუფლებიან წარმომადგენლებთან მოლაპარაკების გზით.

როგორც პრესა იუწყება, ქალაქ შატოტიერში (ენის დეპარტამენტი) საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, გაერთიანებული სოციალისტური პარტიის, რადიკალთა პარტიის, შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და ყოფილ ფრონტელთა რესპუბლიკური ასოციაციის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მოსახლეობას მომავრთეს ერთგულ ალჟირელ მოწოდებით, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ უარყოფით პასუხს ვაძლევთ რეფერენდუმს, რომლის მიზანია მიაღწიოს იმას, რომ საფრანგეთმა მოიწონოს დე გოლის პოლიტიკა. არ არსებობს სხვა გზა, თუ არა მშვიდობა მოლაპარაკების გზით ან ომის განგრძობა. მშვიდობის აღსადგენად საჭიროა დაუყოვნებლივი მოლაპარაკება ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან და არა მარიონეტების დანერგვა. ამ პირობებში ორგანიზაციები მოუწოდებენ მოსახლეობას მსახიერად უარყოს რეფერენდუმი, რაც აიძულებს მთავრობას გამართოს მოლაპარაკება ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან“.

კომპარტიისა და სოციალისტური პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ქალაქ ბოკერში (გარეს დეპარტამენტი) გადაწყვიტეს ერთად მოუწოდონ მოსახლეობას უარყოფითი პასუხი გასცეს რეფერენდუმს, და ერთად აწარმოონ წინასაარჩევნო კამპანია.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის მშენებელ მუშათა ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოუწოდა 1.300.000 მშენებელს გამოვიდნენ მომავალ რეფერენდუმზე მთავრობის კანონპროექტის წინააღმდეგ.

კარიზი, 26 დეკემბერი. (საკდესი). უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში საფრანგეთის ჯარების მიერ დაკავებულ რაიონებში გასროდა შემთხვევები, რაც ალჟირის მოსახლეობა აშკარა მასობრივ გამოსვლებს აწყობს ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მხარდასაჭერად კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ. ორანში, რომელიც ალჟირის მეორე ქალაქია სიდიდით, გუშინ გაიმართა დემონსტრაცია ლოზუნგებით: „გაუმარჯოს ფარამ ალჟირ ალ-ალ-ალ-

თბილისის თეატრები — დღესასწაულს

დიდი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული თბილისის თეატრებში ეროვნული დღესასწაულის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორმოცე წლისთავის შესახვედრად.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი იუბილეს დღეებში მაყურებელს უჩვენებს ყველა სპექტაკლს, რომლებიც შექმნილია ამ უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე და თეატრის ეროვნულ რეპერტუარს შეადგენს. ოცი დღის განმავლობაში ნაჩვენები იქნება შემდეგი სპექტაკლები: ზ. ფალიაშვილის ოპერები „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“, ა. კერესელიძის „ბაში-აჩუკი“, რ. გაბიჩვაძის „ნანა“, ვ. გოკიელის „წითელქუდა“, ა. ბუკია „დაუპატიჟებელი სტუმრები“, ა. ანდრიაშვილის „ზავი“, ბალეტებიდან კი მაყურებლები ნახავენ ა. ბალანჩივაძის „მთების გულს“, გ. კილაძის „სინათლეს“, დ. თორაძის „გორდა“ და „მშვიდობისათვის“, ა. მაჯავარიანის „ოტელოს“.

ამჟამად მზადდება და იუბილეს დღეებში მაყურებლები ნახავენ შ. მშველიძის ახალ ოპერას „დიდოსტატის მარჯვენას“ და ს. ცინცაძისა და ვ. ქაბუკიანის ბალეტ „დემონს“. ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი იუბილეს დღეებში ქალაქის მსხვილ საწარმოებში მოაწყობს აგრეთვე გასვლითს კონცერტებს.

შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფს ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილ თეატრში — რუსთველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. თეატრის კოლექტივი იუბილესათვის დიდი სიყვარულით მუშაობს სამ ახალ პიესაზე: ს. კლდიაშვილის „მუდრა

სავანეზე“, ვ. კანდელაკის „ქართლის ჩიტაღდნებზე“ და გ. ნახუცრიშვილის „ფეროსმანზე“. სპექტაკლების დადგმებს განახორციელებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები დ. ანთაძე, ე. ალექსიძე და ახალგაზრდა რეჟისორი ლ. მილორავა: მხატვრობა ეკუთვნით ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს ფ. ლაპიაშვილს და დ. თავაძეს, ძუნიკა — კომპოზიტორებს ა. ჩიმაკაძეს და ო. გორდელს. სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებს თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორმოცე წლისთავთან დაკავშირებით ამზადებს ა. აღლაძის ახალ პიესას „ერთი სახლის მღელვარე დღეები“, რომელიც ასახავს ქართველი ხალხის უბოროტესი ტირანების მეზღვეკების ბატონობის უკანასკნელ დღეებს საქართველოში. პიესას დგამს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, მხატვარია დ. თაყაიშვილი, კომპოზიტორი ა. ჩორგოლაშვილი. სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ როგორც უფროსი თაობის, ისე ნიჭიერი ახალგაზრდა ძალები.

სახელოვან თარიღს უძღვნის ა. გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივი მორიგ პრემიერას — ო. ჩიკოვაძის კომედიას, რომლის სათაურია „ბედნიერი უიღბლო“. სპექტაკლის დადგმაზე მუშაობს თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. რუბინი, მხატვარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დ. თავაძე კომპოზიტორი რ. ვანძიე. სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. სლავინი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. პიასეცკი, ე. ბერძენეიშრი, მ. ქებაძე, მსახიობები ი. შევჩუკი, ა. გომიაშვილი და სხვ.

ს. შაქმაინის სახელობის სომხური დრამის თეატრი იუბილეს დღეებში მაყურებელს უჩვენებს ა. აბშილავის პიესას „სანამ ცოცხლები ვართ“. პიესას დგამს თეატრის მთავარი რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ბეიკიანი, მხატვარი — თეატრის მთავარი მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ნალბანდიანი. სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ თეატრის წამყვანი მსახიობები. იუბილეს დღეებში ნაჩვენები იქნება აგრეთვე ი. ქავჭავაძის „ბალახის ნაამბობი“ და მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი“.

წყალბურთელებმა ალამი დაუშვეს

▲ მოსკოვის „დინამო“ — სსრ კავშირის ჩემპიონი ▲ თბილისის „დინამო“ — მეორე ადგილზე.

გასული კვირადღე წყალბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების უკანასკნელი ტურის მატჩებს ქონდა დათმობილი.

პირველობის, ანუ ჩემპიონობის საკითხი ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე იყო გადაწყვეტილი. ეს საპატიო ტიტული მოიპოვა მოსკოვის „დინამოს“ ძლიერმა კოლექტივმა. ეს ის გუნდია, რომელსაც ამ დიდ შეჯიბრებაში არცერთი თამაში არ წაუგია. 22 მატჩიდან დინამოელებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა დამთავრეს ფრედ, ისიც თბილისის „დინამოსთან“.

ბოლო ტურის მატჩი თბილისელებს ჰქონდათ მოსკოვის ერთ-ერთ ძლიერ კოლექტივთან — „ტორპედოსთან“. დინამოელმა გ. ჩიქვანაიამ და ვ. რომანოვმა მოწინააღმდეგის კარში ორი ბურთი გაიტანეს, მაგრამ ტორპედოელებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა. მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ამრიგად, შეიცვალა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ცხრილის უკანასკნელი უჯრედები. უძლიერესები აღმოჩნდნენ მოსკოვის დინამოელები, რომელებსაც საზეიმოდ გადაეცათ ოქროს მედლები.

დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე თბილისის „დინამოს“, რომელმაც გაუსწრო ისეთ ძლიერ გუნდებს, როგორიც არის ცსკა, მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელთა კოლექტივი და სხვა. დინამოელებმა 22 თამაშიდან 15 მატჩი მოიგეს, 6 ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ 1 შეხვედრა წააგეს. ბურთების საერთო შეფარდება შეადგენს 79:36. თბილისელებმა მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვეს. მესამე ადგილზე გამოვიდა ცსკა-ს გუნდი.

ჩემპიონატი დამთავრდა. წყალბურთელებმა ალამი დაუშვეს.

შესანიშნავი გრძოლის შედეგი

საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელმა მდივანმა მ. ამნიაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა კოლექტივის წარმატება — მეორე საპრიზო ადგილი — უთუოდ დიდი გამარჯვებაა. ჩვენს წყალბურთელებს შეუთხვეთ როდი უწოდებენ არაოფიციალურ ჩემპიონებს. თითქმის ყოველთვის ძირითადი ბრძოლა ოქროს მედლებისათვის მოსკოვის დინამოელთა და მათ თბილისელ თანაკლუბელთა შორის მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ თბილისის „დინამოს“ გუნდი „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს გასული და მიმდინარე წლის ჩემპიონია.

თბილისის დინამოელებს თავიანთი რიგებში ჰყავთ ორი ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი. ესენი არიან მეკარე ლ. გოგოლაძე და მცველი გ. ჩიქვანაია, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაკრებში შედიან.

ვინ იცავდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას საკავშირო ჩემპიონატში, ვინ შედის დინამოელთა შემადგენლობაში? აი მათი გვარები — გუნდის მწვრთნელი და კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. გვახარია, გ. ჩიქვანაია, ლ. გოგოლაძე, კ. ავანესიანი, ბ. მეგელი, ო. ჩხაკვაძე, ვ. რომანოვი, ო. მიმინოშვილი, ზ. ლომაძე, ჯ. ვადაკკორია, ჯ. წოკლაური, რ. ჯანაშვილი, თ. ივანიშვილი, ვ. სანაძე.

გუნდის მთავარი სნაიპერები და თამაშის ორგანიზატორები არიან ნ. გვახარია

და გ. ჩიქვანაია. დინამოელებმა მთელ ჩემპიონატში (22 თამაში) მხოლოდ ერთი მატჩი — სსრ კავშირის ჩემპიონთან მოსკოვის „დინამოსთან“ წააგეს.

მოსკოველთა სიმპათია დავიმსახურეთ

გუშინ რედაქცია მოსკოვის სასტუმრო „სპორტში“ ტელეფონით დაუკავშირდა თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრს **გ. ჩიქვანაიას**, მიეღოცა მთელ კოლექტივს წარმატება და სთხოვა მას გამოეთქვა აზრი ახლახან დამთავრებული ჩემპიონატის შესახებ.

აი რა გვაცნობა მან:

თამაშის ახალმა წესებმა ბრძოლის სიმძაფრე უმაღლეს წერტილამდე აიყვანა. ამიტომ იყო, რომ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის საცურავაუზის ტრიბუნები ყოველთვის სავსე იყო მაყურებლებით. ჩვენ მივულოცეთ ჩვენს მოსკოველ თანაკლუბელებს ჩემპიონობა, მაგრამ განსაკუთრებით კმაყოფილი ვართ იმით, რომ დავიმსახურეთ მოსკოველთა სიმპათია და ერთსულოვანი ტაში.

ყველაზე მძაფრ, შინაარსიან და ეფექტურ მატჩად ვთვლი შეხვედრას ცსკა-ს გუნდთან.

განსული თამაშებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ახალგაზრდა წყალბურთელმა ო. მიმინოშვილმა. იგი შეუვანილია სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში. ყველაზე მეტი ბურთები გავიტანეთ ნ. გვახარიამ, მე, ი. ჩხიკვაძემ და ო. მიმინოშვილმა.

* * *

სურათზე: თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ახალი წიგნები

გ. გაჩეჩილაძე — თარგმანები. წიგნში შესულია უმთავრესად 1950-1954 წლებში შესრულებული თარგმანები — ინგლისური ხალხური ბალადები და შექსპირის სონეტები. წიგნის რედაქტორია თ. კოპლატაძე. გვერდი 236, ფასი 4 მან. 15 კაპ. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.

ს. მთვარაძე — მძლეთა მძლე, რომანი, რედაქტორია თ. გოგოლაძე, გვ. 328. ფასი 6 მან. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ს. წვერავა — ფოლადის გზებზე. წიგნში მოთავსებულია ნარკვევები კომუნისტური შრომის ბრიგადებზე: „ახალი ცხრეულის თავფურცელი“, „ხუთნი“, „სახელოვანი მჭედელი“, „გაკვალრებულ ქურასთან“, „განვლილი გზა“, „გუგუნებდა ქარხანა“. რედაქტორია გ. ნატრიშვილი. გვერდი 302, ფასი 6 მან. და 70 კაპ. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.

ა. ბურთიკაშვილი — ცეკვის ჯადოქარი. ეს არის პირველი მონოგრაფია ქართულ ენაზე საბჭოთა საბალეტო ხელოვნების გამოჩენილი ოსტატის ვახტან ჭაბუკიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. წიგნის რედაქტორია ბ. აბულაძე. გვერდი 200, ფასი 9 მან. 60 კაპ. გამომცემლობა „ხელოვნება“.

დ. რამიშვილი—ჰოლა ლომთათიძე. წიგნი წარმოადგენს ჰ. ლომთათიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიულ მიმოხილვას. რედაქტორია ა. გაწერელია. გვერდი 356, ფასი 12 მან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

შ. ძიძიგური — საენათმეცნიერო საუბრები. წიგნში დაბეჭდილია რამდენიმე საუბარი: ენის წარმოშობა, ხატოვანი სიტყვები, დამწერლობის წარმოშობა, ქართული ანბანის წარმოშობა, ქართულის მონათესავე ენები მსოფლიოში და სხვ. წიგნი დაწერილია სამეცნიერო-პოპულარული ენით და განკუთვნილია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის. რედაქტორია ნ. ლორთქიფანიძე, გვერდი 208, ფასი 7 მან. გამომცემლობა „ნაკადული“.

მეზღვაურის დიდება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაჯილდოვა ვეშაპსანადირო ფლოტილიების „სლავას“ და „სოვეტსკაია უკრაინის“ ეკიპაჟების 615-ზე მეტი წევრი. მათ შორის ლენინის ორდენით დაჯილდოებულია ჩვენი თანამემამულე აბესალომ მელიტონის-ძე ზენაიშვილი.

ა. ზენაიშვილი დაიბადა 1922 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში. ამჟამად მისი ოჯახი ბათუმში ცხოვრობს.

ქ. ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ა. ზენაიშვილი მუშაობდა სხვადასხვა გემებზე. მონაწილეობას იღებდა დიდ სამამულო ომში. უკანასკნელ წლებში მსახურობდა ვეშაპსანადირო ფლოტილია „სლავას“ გემის „ბრავი 26“-ის კაპიტნის თანამდებობაზე. შარშან, როდესაც შეიქმნა ვეშაპსანადირო ფლოტილია „სოვეტსკაია უკრაინა“, ა. ზენაიშვილი გადავიდა ამ ფლოტილიის გემ „გნევნაზე“. იგი ამ გემის კაპიტანია.

ფლოტილიაში 18 გემია: „გნევნი“, „კომსომოლეცი“, „დობრი“, „ბოიკი“, „გროზნი“ და სხვ.

თავისი პირველი ანტარქტიკული რეისი „სოვეტსკაია უკრაინამ“ წარმატებით დაამთავრა. ფლოტილიის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა „სლავასთან“ შეჯიბრებაში. მისმა მეზღვაურებმა ქვეყანას მისცეს იმდენი პროდუქცია, რამდენიც არ გადაუმუშავებია მსოფლიოს არცერთ ფლოტილიას. ფლოტილიის კოლექტივმა სამშობლოს 150 მილიონი მანეთის მოგება მისცა.

ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გემ „გნევნის“ ეკიპაჟმა კაპიტან ა. ზენაიშვილის ხელმძღვანელობით.

შემთხვევითი როდი იყო, რომ შორეული ნაოსნობიდან წელს ზაფხულში სამშობლოში დაბრუნებისას ოდესის ნავსადგურში ერთ-ერთი პირველი შევიდა ის გემი, რომლის კაპიტანია ა. ზენაიშვილი. ასეთი უფლება მხოლოდ მოწინავეებს ეძლევათ, ხოლო ფლოტილიის გაზეთმა „კიტობოი უკრაინამ“ პირველ გვერდზე მოათავსა მისი სურათი.

ა. ზენაიშვილის ეკიპაჟს მოპოვებული წარმატებებისათვის კომუნისტური შრომის ეკიპაჟის სამტიო სახელი მიენიჭა.

ამას წინათ „სოვეტსკაია უკრაინამ“ კვლავ აიღო გეზი ანტარქტიკისაკენ. მალე აბესალომ ზენაიშვილის ეკიპაჟიც გაუდგება გზას. დიდი ჯილდო აღფრთოვანებს ქართველ კაპიტანს და განა მარტო მას, ყველა ბათუმელს უხარია ა. ზენაიშვილის დაჯილდოება. დეპეშებს უგზავნიან ოდესაში ამხანაგები, ნათესავები.

აბესალომ ზენაიშვილის ოჯახში საზეიმო განწყობილებაა. აქ მოდიან მისი მასწავლებლები საზღვაოსნო სასწავლებლიდან, სადაც იგი აღიზარდა, მოდიან მეგობრები, ულოცავენ მშობლებს მელიტონსა და თამარ ზენაიშვილებს სასახელო შვილის გაზრდას, ულოცავენ აბესალომის მეუღლეს კლარას, შვილებს იდას, თემურსა და მარინეს.

რ. გორგაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: ა. ზენაიშვილი.

ფოტო ა. ტულუშისა.

ერთ სახლზე 60 ანტენა

რუსთავი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური პროსპექტის № 22 სახლში ძირითადად მეტალურგები ცხოვრობენ. სახლი დიდია, 67 ბინის. ითვლის და საინტერესოა, რომ მის სახურავზე დაითვლით 60 ანტენას.

რას ნიშნავს ეს?

თითქმის ყველა ოჯახს აქვს ტელევიზორი.

— პირველად, ტელევიზორი რომ ეყიდე, — ამბობს საგლინავი საამქროს მუშა რ. აბრამიშვილი, — ჩემს ბინაში ბევრი მეზობელი მოიყრიდა ხოლმე თავს. ახლა ტელევიზორი თითქმის ყველა ოჯახს აქვს. ამ რამდენიმე ხნის წინ ტელევიზორები შეიძინეს მეტალურგებმა გ. გვარამიძემ, ნ. გუნჩენკომ, გ. ხეთაგურიმ და სხვებმა.

და განა მარტო № 22 სახლშია ასე? არ არის საცხოვრებელი შენობა, რომლის სახურავი უამრავი ანტენით არ იყოს დაფარული. მარტო წელს რუსთავის მაღაზიებში 5.000-ზე მეტი ტელევიზორი გაიყიდა. ბევრმა მეტალურგმა ტელევიზორი თბილისსა და სხვა ქალაქში იყიდა.

იშვიათი შემთხვევა

თერჯოლის რაიონის ღვანკითის სასოფლო ბიბლიოთეკაში ინახება სიმინდის ძირი, რომელსაც აქვს ათი მსხვილი კარგად მომწიფებული და ნორმალურად განვითარებული ტარო. ეს იშვიათი სიმინდის ძირი სოფელ ღვანკითში მცხოვრებმა დ. რობაქიძემ აღმოაჩინა თავის საკარმიდამო ნაკვეთში და სასოფლო ბიბლიოთეკაში მიიტანა.

კოლმეურნეობის სიმინდის მოსავლის აღების დროს ასეთივე სიმინდის ძირი აღმოაჩინა ამავე სოფლის კოლმეურნეობის წევრმა მ. გავაშელაშვილმა კოლმეურნეობის ნაკვეთში. ძირს ასხია შვიდი მსხვილი კარგად მომწიფებული და სრულად განვითარებული ტარო. სიმინდის ძირზე ამდენი ტარო იშვიათი შემთხვევაა.

ვ. კუტალაძე.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ ᲞᲝᲠᲢᲤᲔᲚᲘ

სიახლენი ფეხბურთის ჩემპიონატში

ფეხბურთის საკავშირო პლენუმის რჩევით სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ შესწორება შეიტანა ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა მომავალ ჩემპიონატებს. ეს სიახლენი ასეთია:

თუ წინათ თანაბარი ქულების მქონე გუნდების ადგილს გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება განსაზღვრავდა, ახალი წესით ასეთი გუნდების ადგილები ჩემპიონატის ცხრილში დადგინდება გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით.

1961-1962 წ.წ. ჩემპიონატებში დებიუტორთა ასპარეზობა მოეწყობა იმავე პრინციპით, როგორითაც ძირითადი შემადგენლობებისა, რესპუბლიკათა „ბ“ კლასის გუნდების ჩემპიონატი ნაცვლად ადრე მიღებული 3 ზონისა მოეწყობა ორ ზონად. 1962 წლიდან რსფსრ და უკრაინის ჩემპიონები, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ორივე ზონის უძლიერესი გუნდი გადაყვანილ იქნებიან „ა“ კლასში გადასასვლელი მატჩების გაუმართავად, იმ ვარაუდით, რომ „ა“ კლასში რსფსრ-დან გუნდების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ათს, უკრაინიდან — ოთხს, ბოლო ყველა დანარჩენი რესპუბლიკიდან — ორორს.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ 1960 წლის სეზონის მიხედვით დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია. ესენი არიან:

მეკარეები — ლ. იაშინი („დინამო“, მოსკოვი), ვ. მასლაჩენკო (ლოკომოტივი“), ს. კოტრიკაძე („დინამო“, თბილისი).

მარჯვენა მცველები — გ. ჩოხელი („დინამო“, თბილისი), ა. მედაკინი („ტორპედო“), ვ. პეტროვი („სპარტაკი“, მოსკოვი); **ცენტრალური მცველები** — ა. მასლიონკინი („სპარტაკი“, მოსკოვი), ვ. შუსტიკოვი („ტორპედო“), გ. რიაბოვი („დინამო“, მოსკოვი); **მარცხენა მცველები**—ა. კრუტიკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), ლ. ოსტროვსკი („ტორპედო“), დ. ბაგრიჩი (ცსკა).

მარჯვენა ნახევარმცველები — ი. ვოინოვი („დინამო“, კიევი), ვ. ვორონინი („ტორპედო“), ა. ჩერტკოვი (სკა, დონის როსტოვი); **მარცხენა ნახევარმცველები** — ი. ნეტო („სპარტაკი“, მოსკოვი), ნ. მანოშინი („ტორპედო“), ი. შიკუნოვი (სკა, დონის როსტოვი).

მარჯვენა გარემარბები— ს. მეტოეველი („ტორპედო“), ო. ბაზილევიჩი („დინამო“, კიევი), გ. აპუტინი (ცსკა); **მარჯვენა შუამარბები** — ვ. ივანოვი („ტორპედო“), ი. ჩისლენკო („დინამო“, მოსკოვი), ვ. სერებრიანიკოვი („დინამო“, კიევი); **ცენტრალური თავდამსხმელები**—ვ. პონედელნიკი (სკა, დონის როსტოვი), გ. გუსაროვი („ტორპედო“), გ. სმირნოვი („დაუგავა“); **მარცხენა შუამარბები** — ვ. ბუბუკინი („ლოკომოტივი“), ბ. ბატანოვი („ტორპედო“), გ. ჰუსაინოვი („კრილია სოვეტოვი“); **მარცხენა გარემარბები** — მ. მესხი („დინამო“, თბილისი), ვ. ლობანოვსკი („დინამო“, კიევი), ო. სერგეევი („ტორპედო“).

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

28 და 29 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ცვალებადი მმართველების სუსტი ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5, დღისით 10-15 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ალაგ-ალაგ ნისლი, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

27 დეკემბერი

თეატრები: **რუსთველის სახელობის** — ჰამლეტი, **გრიბოედოვის სახელობის** — მეფოლე ქალი, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე (მე-3 აბ. მე-6 წარმ., სომხური დრამის თეატრში), სანკულტერის— პროფესორ დოუელის თვი (აბონ. გარეშე), **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

ტელევიზია: 19.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „პირველკლასელთა დღის რეჟიმი“, 19.20— კინოჟურნალი., 19.30 — გადაცემა, მიძღვნილი სანდრო ეულის დაბადების 70 წლისთავისადმი, 19.50 — სატელევიზიო ნარკვევი — „მუსიკალური კერა“ (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა). 20.50 — ახალი ამბები, 21.00 — ახალი მხატვრული ფილმი — „პიკის ქალი“.

მთები, მწვერვალები, გმირობა

დამთავრდა 1960 წლის ალპინისტური სეზონი. დადგა დრო, როცა ალპინისტები მიღწეულს, არჩევენ შეცდომებს, აკეთებენ დასკვნებს და, ცხადია, ადგენენ მომავლის გეგმებს.

ქართველ მთამსვლელებს ამ მხრივ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, მაგრამ მთავარია ის, რომ მათ უწინარეს ყოვლისა უხდებათ არა შეცდომებზე მსჯელობა, არამედ მომდინარე წლის შესანიშნავი მიღწევების შეჯამება. მათი მიღწევები მართლაც ბრწყინვალეა. ალპინისტების უფროსი თაობა, რომელიც განაგრძობს საქართველოში ალპინიზმის ფუძემდებლების ჯაფარიძეების ოჯახის წარმომადგენლთა ტრადიციებს, უკვე მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით იცავს რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას. მათ შორის არიან ისეთი ცნობილი მთამსვლელები, როგორც, მაგალითად, სპორტის დამსახურებული ოსტატები ბექნუ ხერგიანი და ჰიკოკო ჩართოლანი. ძლიერია მთამსვლელთა საშუალო თაობა, რომლის ყველაზე დიდ ძალას წარმოადგენენ ლევან და ზურაბ ახვლედიანები, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ილია გაბლიანი, სოზარ და ჯოკია გუგავები. ქართველ ალპინისტებს ჰყავთ ძლიერი ახალგაზრდა თაობა, რომელიც წარმატებით იბრძვის საკავშირო პირველობებში. ახალგაზრდა ქართველ მთამსვლელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან: თეიმურაზ კუხიანიძე, ომარ ბერაძე, დიმიტრი დანგაძე, ოთარ ხაზარაძე, შოთა მირიანაშვილი, ავთანდილ ახვლედიანი, გიორგი კობიძე, ავთანდილ ძიძიგური, გიორგი ბერძენიშვილი, ნოდარ ნადირაშვილი და სხვ.

გვარების ასე უხვად ჩამოთვლა შემთხვევითი არ არის. ეს მთამსვლელები მოწინეობდნენ საბჭოთა კავშირის 1960 წლის პირველობაში და ღირსეულად დაიცვეს თავიანთი რესპუბლიკის ღირსება. მოკლე საგაზეთო სტატიაში ძნელია სრულად აჩვენო ყველაფერი ის, რაც ამ მთამსვლელებმა გააკეთეს. მაგრამ მათი მიღწევების მოკლედ აღნიშვნაც კი მრავალსიტყვიანი იქნება.

გასული სეზონის ერთ-ერთი ძირითადი სპორტული ღონისძიება იყო ექსპედიცია იმიერალის ქედში (პამირი). სსლ ციცაბი კედლები, ვიწრო თხემები, თაროები, ბზარები და ბუხრები. ყოველი მეტრის გავლას დიდი ბრძოლა სჭირდებოდა. პალიები და თოკი ამსვლელთა ერთგული თანამგზავრები იყვნენ, ეშეელებოდნენ ყოველ ძრომე უბანზე. შეუპოვარი ცოცვის ექვსი დღე, რომელიც მოითხოვდა თავდადებასა და ოსტატობას, გატარებული იქნა ქარის ზუზუნსა და ქვათაცვენის ხმაურში. და, ბოლოს, მიღწეულ იქნა გამარჯვება!

ამ ასვლას მეორე ადგილი მიეკუთვნა. მისი მონაწილეები ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ.

განა ყველაფერი ეს წარმატება არ არის? ცხადია, დიდი წარმატებაა. სპორტსმენებმა გვიჩვენეს თავისი მაღალი ხელოვნება, ნებისყოფა და თავდადება. ორივე გუნდს ამჟამად შეუძლია სთქვას,— ჩვენ გავიმარჯვეთ.

მაგრამ გაიმარჯვეს არა მარტო მათ. ეს მიღწევა წარმოადგენს მრავალი სასიმაღლო ასვლის ორგანიზატორებისა და გუნდების მწვრთნელებად ოთარ გიგინეიშვილისა და ალექსი ივანიშვილის გამარჯვებასაც, რომლებმაც ამ დიდ საქმეს მოახმარეს მთელი თავიანთი გამოცდილება, მთელი ცოდნა და დაეხმარნენ ახალგაზრდა სპორტსმენებს. ეს არის გამარჯვება გივი ყალაბეგიშვილისა, რომელმაც ამ საქმისათვის არ დაიშურა არც ძალა, არც ენერგია.

ვულოცავთ გამარჯვებას ასვლების მონაწილეებს, მათს მწვრთნელებს, ორგანიზატორებს, საქართველოს ალპინიზმის ფედერაციისა და საერთოდ საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას, რომელთა ერთობლივმა მუშაობამ მოგვიტანა ეს შესანიშნავი მიღწევები.

პ. როტოტაევი,

ალპინიზმში საკავშირო შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

* * *

სურათზე: ქართველი მთამსვლელები პამირის მთიანეთში.

ფოტო გ. ბალახაძისა.

ჩემპიონები ჭიდაობაში

გორში დამთავრდა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ (ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში.

ეს შეჯიბრება აღინიშნა საქართველოს მოჭიდავეთა გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებით, რომელმაც მეოთხეჯერ მოიპოვა „ბურევესტნიკის“ ჩემპიონის წოდება.

წონითი კატეგორიის მიხედვით, ჩემპიონები გახდნენ — დადიში (უკრაინა), ზამიატინი (ლენინგრადი), რუბაშვილი (საქართველო), მაკაროვი (ლენინგრადი), საღარაძე, დავლიანიძე, გობეჯიშვილი, სიხარულიძე (საქართველო).

გაზეთ „ლელოს“ პრიზზე

ბაკურიანში ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს უძლიერეს მოთხილამურეთა ტრადიციული ასპარეზობა გაზეთ „ლელოს“ პრიზზე.

პირველ დღეს ქალთა შორის 5 კილომეტრიან სათხილამურო გადარბენაში უძლიერესი იყო ვ. გაკა („კოლმეურნე“), ვაჟთა შორის 25 კილომეტრის გადარბენაში გაიმარჯვა ჯ. წაქაძემ („ბურევესტნიკი“).

25 დეკემბერს მოეწყო შეხვედრები სლალომსა და ტრამპლინიდან ხტომაში. ქალთა შორის სლალომში პირველი ადგილი დაიკავა ნ. ქურდოღლიანმა („ბურევესტნიკი“), ვაჟთა შორის — გ. აბრამაშვილმა („დინამო“). ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებული გამოვიდა ჯ. თვაური.

გუნდურ ჩათვლაში სასპორტო საზოგადოებათა შორის უძლიერესი იყო „ბურევესტნიკის“ კოლექტივი, რომელსაც ხვდა პრიზი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-08, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80. სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, საილუსტრაციო — 8-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

უე 07942

2